თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 13

ქ. თელავი 2018 წლის 17 დეკემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ლევანი ლილუაშვილი, ლელა მენთეშაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე,

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ პროექტის თაობაზე .

მომხს. ა.შათირიშვილი.

2. ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში, 2018 წლის 21 ნოემბერს ჩატარებული კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების ასახვის შესახებ.

მომხს. ა.შათირიშვილი

1.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ“ პროექტის თაობაზე .

აზრი გამოთქვეს: უჩა ჭოტიაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ ნაკვეთებზე ადრე წლებში გაშენებული იყო მრავალწლიანი ნარგავები (კაკალი და თუთა), ამჟამად სოფლების მაცხოვრებლები იყენებენ პირუტყვის საძოვრად, გასხვისება მათ დააზარალებს,

ამიტომ ნაკვეთები უნდა დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე უარი უნდა ეთქვას სახელმწიფოსთვის შემდგომში გასხვისების მიზნით გადაცემის საკითხს.

ალექსანდრე შათირიშვილმა დააყენა წინადადება, რომ ნაკვეთების სახელმწიფოსთვის გადაცემაზე უარის თქმის თაობაზე წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე. მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: უარი ეთქვას სახელმწიფოს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული: სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების ს.კ. 53.05.33.083, ს.კ. 53.05.34.291, ს.კ. 53.14.49.104 საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე და წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2.მოისმინეს: ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში, 2018 წლის 21 ნოემბერს ჩატარებული კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების ასახვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ა. შათირიშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტში არ იქნა შეტანილი წინა კომისიის სხდომის მიერ მიცემული შენიშვნები, კერძოდ არაფინანსური აქტივების მუხლის კლების გათვალისწინება 200 ათ. ლარის ოდენობით და აღნიშნული წყაროს ხარჯზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის დამატებით 40.0 ათ. ლარით ანუ გათვალისწინებული იქნას დაფინანსება სულ (30.0+40.0) 70.0 ათ.ლარი, ასევე ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციის დამატებით 160 ათ.ლარით ანუ გათვალისწინებული იქნას დაფინანსება სულ (220.0+160.0) 380.0 ათ ლარი.

ვასილ არაბულმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია ეცნობოს საკრებულოს ბიუროს, მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში, 2018 წლის 21 ნოემბერს ჩატარებული კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების ასახვის შესახებ ეცნობოს საკრებულოს ბიუროს.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი